ცხადდება კონკურსი
ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში (გერმანია)
კვლევითი სტაჟირებისათვის სტიპენდიების მოსაპოვებლად
სამეცნიერო ხარისხის მქონე თსუ-ის პერსონალისთვის,
რომელიც ჩართულია კვლევით ან/და საგანმანათლებლო საქმიანობაში!

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ **თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა *(ენების გარდა)*, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა, სამართლის მეცნიერების და გერმანული ფილოლოგიის სამეცნიერო ხარისხის (PhD ან მასთან გათანაბრებული) მქონე თსუ-ის პერსონალს, რომელიც ჩართულია კვლევით ან/და საგანმანათლებლო საქმიანობაში.**

სტიპენდიის ხანგრძლივობა: **1 (ერთი) კალენდარული თვე**;
მობილობის პერიოდი: მობილობა უნდა განხორციელდეს **2026 წლის 31 დეკემბრამდე**;
სტიპენდიის სრული მოცულობა: **2,000 ევრო**.
შერჩეულმა სტიპენდიატებმა თავად უნდა აანაზღაურონ საერთაშორისო მგზავრობისა და სამოგზაურო დაზღვევის ხარჯები!

სტიპენდიანტთა შესარჩევი პროცესი:

1. ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
2. გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
3. საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. პასპორტის ასლი (*პასპორტის არ არსებობის შემთხვევაში, ატვირთეთ პირადობის მოწმობა*);
2. CV-ს ევროპული ფორმატი **გერმანულ ან ინგლისურ ენაზე** ;
3. ცნობა სამსახურიდან **ინგლისურ ენაზე**;
4. სადოქტორო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (დიპლომი);
5. სამუშაო გეგმის მონახაზი არაუმეტეს 3 გვერდისა (**გერმანულ ან ინგლისურ ენაზე**); ტექნიკური მახასიათებლები: ფონტი - Times New Roman, ფონტისზომა - 12, line spacing – 1.0, ველები - 2სმ.
6. მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი (***Letter of Interest***)
7. რეკომენდაცია

მობილობის პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებულმა პერსონალმა სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) უნდა გამოგზავნოს ელ-ფოსტაზე outgoing.staff@tsu.ge მიმდინარე წლის 2 ივნისის 16:00 საათამდე (თბილისის დროით).

დამატებითი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

ა) ელექტრონული სარეგისტრაციო პორტალი *mobility.tsu.ge*

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პორტალი *mobility.tsu.ge*:

- არ არეგისტრირებს განაცხადებს ზემოთ მითითებული ვადის (**2 ივნისის მაისის 16:00სთ**) გასვლის შემდეგ;
- არ არეგისტრირებს არასრულ სააპლიკაციო პაკეტს.
- **სააპლიკაციო განაცხადი ელექტრონულად ჩაბარებულად ითვლება მხოლოდ გაგზავნის ღილაკის დაჭერის შემდეგ**.
- სააპლიკაციო დოკუმენტაციის წარმატებით გამოგზავნის შემდეგ აპლიკანტი მეილზე მიიღებს შესაბამის შეტყობინებას.
- გასაუბრებების დრო და თარიღი ინდივიდუალურად დაეგზავნება ყველა აპლიკანტს პორტალზე [***mobility.tsu.ge***] მითითებულ მეილზე;
- აპლიკანტებთან გასაუბრება ჩატარდება დისტანციურად!